საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 71

2011 წ. "30" 09

ქ. თბილისი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის №5 სხდომის ოქმი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ხოფერია

მდივანი
დიმიტრი ალავიძე